საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010136742826515

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6210

06 / აგვისტო / 2015 წ.

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ დავით ლეჟავას

ბატონო დავით,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2015 წლის 5 აგვისტოს №07-02/83121 წერილით წარმოდგენილი 2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ხელმოწერილი სასესხო ხელშეკრულებების („მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა – პროექტი 2") ცვლილების ხელშეკრულების პროექტი, რომელთან დაკავშირებით ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი ცვლილების ხელშეკრულების პროექტის მე-5 პუნქტის თანახმად, ცვლილების ხელშეკრულება ძალაში შედის აზიის განვითარების ბანკის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერილი ორიგინალის მიღების შემდეგ. აღნიშნულ დებულებასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ, ვინაიდან ზემოხსენებული „დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულება" რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ, ამავე ხელშეკრულების ცვლილების პროექტი „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად და, ასევე, „საქართველოს კონსტიტუციის" 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ექვემდებარება პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

პატივისცემით,

გ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე

საქართველო

31604-01-2-201508191044

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/31604
19/08/2015

ფრიად სასწრაფო

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ **დავით ლეჟავას**

ბატონო **დავით,**

თქვენი 2015 წლის 5 აგვისტოს №07-02/83090 წერილის პასუხად გიგზავნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას 2012 წლის 24 ივლისის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის ,,მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2" სასესხო ხელშეკრულების ცვლილების პროექტის თაობაზე.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,
გიგი გიგიაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველო

31391-01-2-201508181428

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/31391
18/08/2015

დასკვნა
2012 წლის 24 ივლისის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის ,,მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2" სასესხო ხელშეკრულების ცვლილების პროექტის თაობაზე

სამინისტრომ განიხილა 2012 წლის 24 ივლისის საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის ,,მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2" სასესხო ხელშეკრულების ცვლილების პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები და წინადადებები:

აღნიშნული პროექტის მე-5 პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხება წარმოდგენილი ცვლილების ძალაში შესვლის საკითხს, გასათვალისწინებელია, რომ ,,ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ,,ნორმატიული აქტის ცვლილების მომზადება, მიღება (გამოცემა) და ძალაში შესვლა ხდება იმ ნორმატიული აქტის მომზადების, მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისათვის დადგენილი წესით, რომელშიც შეიტანება ეს ცვლილება". ვინაიდან, 2012 წლის 24 ივლისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სესხის ხელშეკრულება (განსაკუთრებული ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი II)" და „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სესხის ხელშეკრულება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი II)" რომელთან დაკავშირებითაც წარმოდგენილია ცვლილების პროექტი, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 12 ივლისის N6633-რს და N6632-რს დადგენილებებით, წარმოდგენილი ცვლილება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას. შესაბამისად, პროექტის მე-5 პუნქტში მიზანშეწონილია აღინიშნოს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის დასრულების (ამ შემთხვევაში რატიფიცირების) თაობაზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ ცვლილების პროექტის სახელწოდება არ შეესაბამება ძირითად ხელშეკრულებათა სახელწოდებას, ვინაიდან, საქართველოს პარლამენტის ზემოხსენებული დადგენილებების თანახმად, ძირითად ხელშეკრულებათა სახელწოდებები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სესხის ხელშეკრულება (განსაკუთრებული ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი II)" და „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სესხის ხელშეკრულება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი II)".

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი ხელშეკრულების ცვლილების დადება.

პატივისცემით,

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

გიგი გიგიაძე



მინისტრის მოადგილე

KA020149100298815

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11
Fax.: (+995 32) 2 921534

№ 09/5894

17 / აგვისტო / 2015 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ დავით ლეჟავას

ბატონო დავით,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილი (N07-02/83132; 05.08.2015წ.), რომლითაც წარმოდგენილია 2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ხელმოწერილ სასესხო ხელშეკრულებებში (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გასაფორმებელი სასესხო ხელშეკრულებების ცვლილებების პროექტი.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ირმა ქავთარაძე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

2620-01-2-201508061612

N 01/2620
06/08/2015

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს,
ბატონ დავით ლეჟავას**

ბატონო დავით,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 2015 წლის 5 აგვისტოს შემოვიდა თქვენი №07-02/83084 წერილი (სამინისტროში რეგისტრაციის №4528/01), რომლითაც, დასკვნისათვის წარმოდგენილ იქნა 2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ხელმოწერილი „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2“ (ჩვეულებრივი ოპერაციები) და საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის ხელმოწერილი „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2“ (განსაკუთრებული ოპერაციები) სასესხო ხელშეკრულებების ცვლილებების პროექტები.

ზემოაღნიშნულ წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამინისტრომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა წარმოდგენილი პროექტები და მათ მიმართ შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

პატივისცემით,

ილია დარჩიაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2-04/2734-15
07.08.2015

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ დავით ლეჟავას

თქვენს 2015 წლის 05 აგვისტოს
N07-02/83130 წერილზე

ბატონო დავით,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა 2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ხელმოწერილი სასესხო ხელშეკრულებების (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) ცვლილებების პროექტი.

გაცნობებთ, რომ ეროვნულ ბანკს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიმართ შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,

არჩილ მესტვირიშვილი

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 134685/01
10. 08 2015 წ.
ფურცლის რაოდენობა 1

0114 / თბილისი / სანაპიროს 2 / ტელ.: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
2 Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail: info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/88932
20/08/2015

88932-07-02-2-201508201509

დასკვნა

2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ხელმოწერილი სასესხო ხელშეკრულებების (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გასაფორმებელი სასესხო ხელშეკრულებების ცვლილების პროექტზე

2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ხელმოწერილი სასესხო ხელშეკრულებების (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გასაფორმებელი სასესხო ხელშეკრულებების ცვლილების პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნა არ გააჩნია.

მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სასესხო ხელშეკრულებების ცვლილების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.

ლაშა ხუციშვილი

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409,ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

1969-g-2-201508061638

N 1969-g 06/08/2015

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ დავით ლეჟავას

ბატონო დავით,

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განიხილა თქვენი 2015 წლის 5 აგვისტოს N07-02/83114 წერილი, რომელიც ეხება 2012 წლის 24 ივლისს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ხელმოწერილი სასესხო ხელშეკრულებებში (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2) ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გასაფორმებელი სასესხო ხელშეკრულებების ცვლილების პროექტს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი სასესხო ხელშეკრულებების ცვლილების პროექტის მიმართ მუნიციპალური განვითარების ფონდის კომპეტენციის ფარგლებში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით შენიშვნები
არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ჯუანშერ ბურჭულაძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
№ 133642/01
07 08 2015 წ.
ფურცლის რაოდენობა 1

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112.Tbilisi,Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E – mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge